სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

ოქმი №1

ქ. მცხეთა 01 მარტი 2011 წელი

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

| | | |
|---|---|---|
| ივანე მარტოლეკი | – | მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-კომისიის თავმჯდომარე; |
| ლერი ტყემალაძე | – | ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; |
| სოფიო მამისაშვილი | – | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი სპეციალისტი-კომისიის მდივანი; |
| მარინე სოხაშვილი | – | ადმინისტრაციული სამსახურის, იურიდიული განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი; |
| ილია ჯიშკარიანი | – | ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, ქონების აღრიცხვის, მართვის და სტატისტიკის განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი; |
| ზურაბ მარსაგიშვილი | – | ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი; |
| გიორგი პაპაშვილი | – | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი- კომისიის წევრი; |

| | | |
|---|---|---|
| ილია ციციშვილი | – | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი; |
| მერაბ თუხარელი | – | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი; |
| ილია ოდიშელიძე | – | მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი–კომისიის წევრი; |

დღის წესრიგი:

I. მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის 24 თებერვალს გამოცხადებულ საკონკურსო განცხადებებზე:
 №1 საკონკურსო განაცხადზე „ქ. მცხეთაში, დ. აღმაშენებლის ქუჩაზე, არქეოლოგიური ცენტრის მიმდებარედ 2000 კვ. მ მიწის ნაკვეთზე (მცხეთის ნიჩბოსნობის სასპორტო სკოლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე)" კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი წერილებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა,შეფასება.

II. №2 კონკურსებში–„მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წეროვანში ავტობანიდან სოფლამდე მისასვლელი გზის აღდგენითი სამუშაოების პროექტირებაზე" კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წერილებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა, შეფასება,

III. №3 საკონკურსო განცხადებაზე–„ქ. მ ცხეთაში, ფიქრის გორაზე გადასასვლელი გზის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე", არცერთმა კონკურსანტმა განაცხადი არ შემოიტანა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრები გაეცნენ კონკურსანტების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას;

№1 კონკურსზე დოკუმენტაცია შემოიტანა ორმა კონკურსანტმა: შპს „PRIMO LINE" -მა და შპს „ჯი ენ პროექტი"-მ.

№2 კონკურსზე დოკუმენტაცია შემოიტანა შპს „არქსერვისი+"-მა.

საკონკურსო კომისიამ განიხილა კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი წერილები და თანდართული საგადახდო დავალებები.

განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ შპს „ჯი ენ პროექტი"-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებაში მოთხოვნილ პირობებს.

შპს „PRIMO LINE" -ის მიერ წარმოდგენილ „საგადახდო დავალება №5"-ში არ არის მითითებული „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-6 მუხლის 2 პუნქტით" განსაზღვრული მონაცემები, სრულად: კერძოდ კონკურსის დასახელება, შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.

შპს „არქსერვისი+"-ის მიერ წარმოდგენილ „საგადახდო დავალება №56"-ში არ არის მითითებული „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-6 მუხლის 2 პუნქტით" განსაზღვრული მონაცემები, სრულად: კერძოდ კონკურსის დასახელება, შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.

კომისიამ დაადგინა:

1. შპს „არქსერვისი+"-მა უნდა წარმოადგინოს „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-6 მუხლის 2 პუნქტით" გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად დაზუსტებული დოკუმენტაცია რათა დაშვებულ იქნას კონკურსის შემდგომ ეტაპზე.

2. შპს „PRIMO LINE"-მა უნდა წარმოადგინოს „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-6 მუხლის 2 პუნქტით" გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად დაზუსტებული დოკუმენტაცია, რათა დაშვებულ იქნას კონკურსის შემდგომ ეტაპზე.

3. შპს „ჯი ენ პროექტი“-მა უნდა წარმოადგინოს საკონკურსო განაცხადის მიხედვით შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, არა უგვიანეს 16 მარტისა, შემდგომი განხილვისთვის.

4. განცხადება №3-ის მიხედვით გამოცხადებული კონკურსი ჩაითვალოს არშემდგარად და გამოცხადებულ იქნეს განმეორებით.

კომისიის თავმჯდომარე: ი. მარტოლეკი

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ლ. ტყემალაძე

კომისიის მდივანი: ს. მამისაშვილი

კომისიის წევრები მ. სოხაშვილი

ი. ჯიშკარიანი

ზ. მარსაგიშვილი

გ. პაპაშვილი

ი. ციციშვილი

მ. თუხარელი

ი. ოდიშელიძე